— მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოვესწარი ადამიანურ ცხოვრებას. მადლობა სტალინს ბედნიერი მოხუცებულობისათვის. მე ხმას ვაძლევ სტალინის საქმის ერთგულ ადამიანებს.

დილის 10 საათისათვის სამტრედიის რაიონის 33.222 ამომრჩევლისაგან ხმა მიცემული ჰქონდა 23.486 ამომრჩეველს.

ა. კოპალეიშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ხმა მისცეს სამშობლოს შემდგომ აყვავებას

სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდა ბათუმი საყოველთაო სახალხო ზეიმის დღეს—10 თებერვალს. უთენია აზვავდნენ ქუჩები. მოქალაქეები ერთმანეთს ასწრებდნენ საარჩევნო უბნებში მისვლას.

სტალინის საარჩევნო უბანში პირველნი გამოცხადდნენ 19 წლის ქალიშვილი ნუნუ ჩხიკვიშვილი და მისი დიდედა 83 წლის მოხუცი მართა ჩხიკვიშვილი. გორკის საარჩევნო უბანში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს პირველმა მისცა ხმა 110 წლის მოხუცმა დიანოზ დოლიძემ. მან სიყვარულით მიაპყრო თვალი ბელადის სურათს და წარმოსთქვა:

— მე ხმას ვაძლევ დიდ სტალინს, რომელმაც ჩვენი მამული აოხრებისა და დამონებისაგან იხსნა, ხმას ვაძლევ ჩვენს პარტიასა და მთავრობას, ხმას ვაძლევ ჩვენს ბედნიერ ცხოვრებას.

საჯაიას საარჩევნო უბანში ყველას დაასწრო მისვლა 103 წლის მოხუცმა ამომრჩეველმა რახილ კაკაურიძემ. მან საარჩევნო ყუთში ბიულეტენის ჩაშვებისას სთქვა:

— მოსკოველთა ბედი მშურს, შვილებო! ისინი ხომ ხმას აძლევენ იმ ადამიანს, ვისაც მე, 103 წლის მოხუცი, მამას ვეძახი.

ხმის მიცემის დაწყებიდან 4 საათის განმავლობაში ბათუმელ ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა უკვე მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა.

ქ. რუსიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

უდიდესი აქტივობით

გუშინ დილის 5 საათზე გორის ქუჩები უკვე სავსე იყო ამომრჩევლებით. ქალაქი საზეიმოდ მორთოთ.

დილის 6 საათიდან საუბნო საარჩევნო კომისიები იწყებენ მუშაობას. აი, ბესარიონ ჯუღაშვილის სახელობის № 8 საარჩევნო უბანი. აქ ხმის მიცემის დაწყებამდე მოვიდნენ ამომრჩევლები. ისინი ლამაზად მოწყობილ მოსაცდელ ოთახში მუსიკით ერთობიან. ახალგაზრდა ამომრჩევლებმა ცეკვა-თამაში გამართეს. უბანში ნამდვილი სახალხო დღესასწაულია.

სრულ 6 საათზე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ—ვასილ გასიტაშვილმა აუწყა ხალხს არჩევნების დაწყება. საარჩევნო ყუთთან პირველნი მიდიან ძმები ლოლაძეები, ორი მათგანი — შოთა და ავთანდილი გორის საკონსერვო ქარხნის სტახანოველებია, მესამე ძმა შალვა — მასწავლებელი. მათ თან მოჰყავთ მოხუცი დედა.

ინსტიტუტის საარჩევნო უბანში დილის 5 საათზე დაიწყეს გამოცხადება ამომრჩევლებმა—სტუდენტებმა, ლექტორ-მასწავლებლებმა, პროფესორებმა. ბევრი სტუდენტი პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში.

უდიდესი აქტივობით მიმდინარეობს არჩევნები სოფლად. კარალეთის, მეჯვრისხევის, ბეგეულას საარჩევნო უბნებში ამომრჩევლები დოლით, გიტარით, გარმონით, ფანდურით მოსულან, მღერიან, ცეკვავენ.

მთელ რიგ საარჩევნო უბნებში დილის ათი საათისათვის უკვე დამთავრებული იყო ხმის მიცემა.

შ. ჩუბინიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

დილის 10 საათისათვის საქართველოში ხმა მისცა ამომრჩეველთა 63.33 პროცენტმა

დილის 10 საათისათვის შეჯამებულ იქნა ხმის მიცემის პირველი შედეგები საქართველოში. ამ დროისათვის ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან — 1.893.396 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 1.199.030 კაცმა — ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 63,33 პროცენტმა. (საქდესი).

დღის 2 საათისათვის საქართველოში ხმა მისცა ამომრჩეველთა 93.9 პროცენტმა

ყოველ საათს რესპუბლიკურ საარჩევნო კომისიაში შემოდის ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენმა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. დღის ორი საათისათვის ამომრჩეველთა რიცხვი, ათ საათზე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, გაიზარდა ათი ათასზე მეტი კაცით.

ამ დროისათვის 1.904.108 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 1.787.784 კაცმა, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 93,9 პროცენტს. (საქდესი).

საღამოს 6 საათისათვის საქართველოში ხმა მისცა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 98.8 პროცენტმა

რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის ცნობებით, 18 საათისათვის ადგილობრივი დროით — ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან 1.925.869 კაციდან ხმა მისცა 1.902.763 კაცმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 98,8 პროცენტს შეადგენს.

ხმის მიცემა გრძელდება. (საქდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში საქართველოში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99.79 პროცენტმა

რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის ცნობებით, 1946 წლის 10 თებერვალს 24 საათისათვის, ხმის მიცემის დამთავრების მომენტისათვის, 1.938.416 ამომრჩევლიდან საქართველოს სს რესპუბლიკაში ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღო 1.934.371 კაცმა. ეს შეადგენს საქართველოს სს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,79 პროცენტს.

ღამის სრულ 12 საათზე ყველა საარჩევნო უბანში ხმის მიცემა შეწყვეტილ იქნა. საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიები შეუდგნენ მიცემული ხმების დათვლას. (საქდესი).

სურათები

(თბილისი, 26 კომისრის რაიონი)

ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა საარჩევნო უბნის ჭიშკართან სწორედ ერთსა და იმავე დროს მოვიდნენ რუსიკო ბერიძიშვილი, ალექსანდრე მატიხიანი და მარო გულაზიანი.

საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი საზრუნავი ამ დილით სწორედ მათი ცხარე დავის განსჯა შეიქნა: საბჭოთა ადამიანები ერთმანეთს ეცილებოდნენ საყვარელი ლავრენტი ბერიასათვის ხმის მიცემის პირველობას.

რუსიკო თავის 18 წელსა და პირველად ხმის მიცემას იმველიებდა, მარო—პირიქით,—ხნიერებასა და გულით ავადმყოფობას — შეიძლება ვეღარც მოვესწრო მომავალ არჩევნებსო, ალექსანდრე კი მნიშვნელოვანი არგუმენტის სახით უსიტყვოდ წამოსწევდა ხოლმე წინ ფრონტზე დაკარგული ფეხის პროტეზს...

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სოლომონ ხითარიშვილმა, მდივანმა პავლე გიორგაძემ და ნდობით აღჭურვილმა პირმა ელენე ცილიკმა კარგა ხნის თათბირის შემდეგ დამსწრეთა ერთსულოვანი დასტურით მოდავეებს სთხოვეს პირველად ხმის მიცემის უპირატესობა დაეთმოთ უხუცესი ამომრჩევლისათვის.

ეს იყო 80 წლის სოფიო სოზიევა.

სრულ 6 საათზე ის სიამაყის გრძნობით, წელში გამართული მიუახლოვდა საარჩევნო ყუთს, წუთით შეჩერდა და საზეიმო მღელვარებისგან ცოტა ათრთოლებული ხელით ჩაუშვა შიგ ორი ბიულეტენი...

მრავალრიცხოვანმა დამსწრეებმა ტაშით დააგვირგვინეს არჩევნების ეს პირველი აქტი თავიანთ უბანში.

№ 181 საარჩევნო უბნის ლამაზად მორთულ ოთახებში არაჩვეულებრივი გაცხოველებაა.

გუშინ აქ ბევრი ამომრჩეველი ისმენდა მშობლიური სტალინის ბრძნულ სიტყვებს. უბნის დიასახლისებს კარგათ ესმოდათ, როგორ გრგვინავდა დიდი თეატრის დარბაზში ამომრჩეველთა ტაში. ისინი მოსკოველთა ოვაციებს თავიანთ აღფრთოვანებულ გულისთქმას უერთებდნენ.

ახლა გარედან განუწყვეტლივ მოედინება ამომრჩეველთა ნაკადი. საარჩევნო ყუთთან მაგიდას უზის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი მათემატიკის მასწავლებელი თამარ გოგმიჩაძე. მის წინ წვრილ უჯრედებად დაყოფილი დიდი ქაღალდის ფურცელი დევს და ყოველი წყვილი ბიულეტენის საარჩევნო ყუთში ჩაშვებისას იგი ერთ უჯრედს ფანქრით უსვამს ნიშანს.

დიახ, ეს მათემატიკის მასწავლებელი აქ საპატიო არითმეტიკულ ამოცანას სწყვეტს, რომელშიც მხოლოდ ერთი მოქმედება არის:—საბჭოთა ამომრჩევლების ხმების შეკრება!

აი მტკიცე, მხედრული ნაბიჯით მიდის საარჩევნო ყუთთან ორდენოსანი ბრგე ვაჟკაცი. იგი ცოტა კოჭლობს:

— ჩვენი სამშობლოს ღირსეულ შვილს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას სიცოცხლე და ჯანმრთელობა,—შესძახა მან და მარჯვედ ჩააცურა ყუთში ბიულეტენები.

ყველა ალტაცებით უკრავს ტაშს.

აგერ—ეზოში ამომრჩეველთა მოზრდილი ჯგუფი შემოვიდა, რომელსაც ფრონტელი ამოტ კაზაროვი მოუძღვის და აკორდეონს ალღერებს. ესენი ეჩმიაძინის ქუჩის № 23 სახლში მცხოვრები ამომრჩევლებია. ხელად გაიმართა წრე. ახალგაზრდა აგიტატორი ლუსია გასპაროვა საცეკვაოდ გაიწვიეს. ამ მოწინავე აგიტატორს მოხდენილი ცეკვაც სცოდნია!

...ნაშუადღევის 3 საათია. თამარ გოგმიჩაძემ უკანასკნელი ცარიელი უჯრედი დანიშნა ქაღალდზე.

უბანმა კარგად მოაწყო თავისი 1.069 ამომრჩევლის მომსახურება.

რ. თალაქვაძე

აღტაცება, სიხარული...

1946 წლის 10 თებერვალი დიდხანს დაამახსოვრდება ყოველ საბჭოთა ადამიანს. თითქოს თბილისს ეძინა ამ ღამით.

მაგრამ არა...

დიდი სიხარულის დროს ადამიანის თვალებს თურმე ძილი არ ეკარება.

სხვა ხასიათის უძილო ღამეებიც უნახავს თბილისს. ეს იყო ახლო წარსულში, ჩვენი სამშობლოს განსაცდელის დღეებში, როცა ვერაგი მტერი კავკასიონის გადმოლახვას ლამობდა. უძილო ღამეები იდგა მაშინ თბილისის საწარმოებში. სამშობლოს პატრიოტი შვილები დაუღალავად სჭედდენ ფაშისტთა ურდოებზე გამარჯვებას...

და ჩვენ გავიმარჯვეთ...

ახლა რატომ არ სძინავს ქალაქს? ღამით რატომ გამოფენილან თბილისელები ქუჩებში?

ისინი მიეშურებიან თავიანთ საარჩევნო უბნებში. ყველას უნდა პირველად მისცეს ხმა იმას, ვინც თბილისი ააყვავა, ვისი ნააზრევითა და ნაამაგარით დამშვენებულია საქართველოს ყველა კუთხე—

ქართველი ხალხის საყვარელ შვილს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

9 თებერვალს, როცა საყვარმა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივს მუშაობის დამთავრება აუწყა, ხარატმა გერასიმე სტურუამ სამუშაო იარაღები მიალაგა და ამხანაგებთან დაიქადა ხვალ დილით უბანში ვერავინ ვერ მიმასწრებთო. იგი მართლა ღამის 3 საათზე ადგა. გასწია მე-17 საარჩევნო უბანში, მაგრამ დახეთ: მის მისვლამდე აქ დიასახლისი ნატალია ცხვედაძე მოსულიყო.

— პირველობა წაგართვი, ყმაწვილო,—ნიშნის მოგებით უთხრა გერასიმეს მან და გულიანად გაიცინა.

* * *

მთელი ღამე ღელავდა ციალა კორძაია. მას სწორედ 9 თებერვალს შეუსრულდა 18 წელი. მისი სურვილი იყო პირველი მისულიყო 28 საარჩევნო უბანში. ის მაშინ დამშვიდდა, როცა ბიულეტენზე ქართველი ხალხის სასიქადულო ადამიანის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას სახელი ამოიკითხა. გოგონამ მოწიწებით ჩაუშვა ყუთში ბიულეტენი.

— აღფრთოვანებით მივეცი ხმა ჩვენს ლავრენტი ბერიას,—განაცხადა მან,—მადლობა მას ახალგაზრდობაზე მშობლიური მზრუნველობისათვის

მეთერთმეტე საარჩევნო უბანთან მსუბუქი მანქანა მორიგეობდა. ის იყო შოფერი გააფრთხილეს, მახლობლად მცხოვრები ღრმა მოხუცი ცოლქმარი ივანე და ანა ბოსტიაშვილები მოეყვანა, რომ ისინი კარს მოადგნენ.

— აბა რათ გვინდა მანქანა, მუხლებში ძალა შეგვმატა ჩვენმა დროებამ,—განაცხადეს მათ.

* * *

ხუთი საბჭოთა მოქალაქე დაიბადა ამ დღეს ნაძალადევის სამშობიარო სახლში.

— დღეს ჩემთვის ბედნიერი და ღირსახსოვარი დღეა. ორი შვილი შემეძინა. ხმას ვაძლევ საბჭოთა დღეების მომავლის ამხანაგ ლავრენტი ბერიას,—განაცხადა ტყუპი ქალ-ვაჟის დედამ თამარ სულაძემ.

დიდი ზეიმი იყო გუშინ ნაძალადევში.

ა. ნინუა

გამოცდილების ტრიბუნა

როგორ მოაწყეს ციტრუსების ყინვისაგან დაცვა

სოფელ მაკვანეთიდან რამდენიმე კილომეტრზე თითქმის მთელი წლის განმავლობაში ძევს თოვლი. მიუხედავად ამისა, აქაურმა კოლმეურნეებმა დაუღალავი შრომით საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს, როგორც ციტრუსოვანი, ისე სხვა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების გაშენების, მოვლისა და უხვი მოსავლის მიღების საქმეში.

კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებულია მეციტრუსეთა ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი კოლმეურნე აგროტექნიკოსი არსენ აროშელიძე ხელმძღვანელობს.

მცენარეთა დაცვისა და მოვლის გაადვილებისათვის პლანტაციები მთლიანად შეღობილია. ნარგავების 50 პროცენტს ცოცხალი ღობე აქვს. 1,5 კილომეტრზე მოწყობილია ქარსაფარი ზოლი.

კოლმეურნეები გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ ციტრუსოვანთა ყინვაგამძლეობა ბევრად არის დამოკიდებული არა პერიოდულ, არამედ სისტემატურ მოვლაზე, აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად და ზუსტად გატარებაზე. მათ იციან, რომ ავადმყოფი, დასუსტებული და დაზიანებული ხე სიცივისაგან უფრო ადვილად იღუპება. გარდა ამისა, ყინვა მეტად მოქმედებს ზრდადაუმთავრებელ და ნორჩ ყლორტებზე. განსაკუთრებით ხშირია მცენარის მოყინვა ჭარბად დანესტიანებულ ადგილებში. ამიტომ კოლმეურნეობა თვითეული ხისათვის როგორც სასუქის შერჩევას, ისე მისი რაოდენობის განსაზღვრას და ნიადაგის გაპატივებას ინდივიდუალური მიდგომით ახორციელებს, ცდილობს ყველა ხე თანაბრად განვითარებული და საღი იყოს.

პლანტაციებში მარტის პირველი რიცხვებიდანვე ტარდება ნიადაგის შებარვა. თვითეული მცენარის ძირთან ნიადაგში 1,5 ფუთამდე ნაკელი შეაქვთ და 1-2 კილოგრამამდე სუპერფოსფატი და კალიუმის მარილი.

ნიადაგის საგაზაფხულო შებარვის შემდეგ მცენარეს უკეთდება არხი იმგვარად, რომ წყალი არ დაგუბდეს და ფესვებთან არ ჩადგეს. წლის განმავლობაში ორ-სამჯერ სწარმოებს მიწის გათოხნა და გაფხვიერება.

მწერთა და სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ წამლობაც სისტემატურად ხდება. ზხამებს სენის გაჩენამდე წინასწარ ასხურებენ მცენარეს. ადრე გაზაფხულზე ფარიანების წინააღმდეგ 2,5-3პროცენტიანი კონცენტრატით სწამლობენ. აპრილიდან ივნისამდე ერთპროცენტიანი ბორდოს ხსნარით სოკოვან დაავადებას ებრძვიან, შემდეგ კი ვერცხლისებურ ტკიპს — გოგირდის ნახარშით და კირით.

შემოდგომაზე ნიადაგის დამუშავებისას ბალახს ბუდნებზე სტოვებენ. აგვისტოს ბოლო რიცხვებიდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე მცენარეს შტამბის ირგვლივ კვლავ უკეთდება 10-15 სანტიმეტრის სიღრმის ნალისებური კვლები. ოქტომბერშივე სწარმოებს მოზარდი მოუმწიფებელი ყლორტების წაწყვეტა. შემდეგ გამოსულ ყლორტებს მთლიანად აცლიან.

ნაყოფის კრეფის დამთავრებისთანავე მცენარის ტოტებს სარზე აკრავენ. თუ ხე დიდი და ღონიერია, სარზე აკვრა არ ხდება, მის შტოებს ერთმანეთს აკრავენ.

ნოემბერში სწარმოებს ციტრუსებისათვის ფუნბის ადგილიდან 30 სანტიმეტრამდე მიწის კონუსისებურად შემოყრა და მჭიდროდ მიტკეპნა ისე, რომ თავზე ჩაღრმავება არ დარჩეს და შიგ წყალი არ ჩავიდეს. ამ სამუშაოს ჩატარებამდე უმთავრესად შტამბს, შეძლებისდაგვარად კი ძირითად ტოტებსაც,ასუფთავებენ ერთპროცენტიანი ბორდოს ხსნარით. დაზიანებულ ადგილებს მალამოთი ფარავენ. იმავდროულად ან ცოტა უფრო ადრე (ოქტომბერში) მოსავლის აღებისთანავე ახალგაზრდა ხეებს ორპროცენტიან ზეთოვან ემულსიას ასხურებენ.

შეფუთვა ჩვეულებრივად სწარმოებს მანდარინისა 3 წლამდე, ლიმონისა და ფორთოხლის ხეებისა 5 წლამდე. ზოგჯერ უფრო ხნიერ ხეებსაც ფუთავენ. პატარა ხეებისათვის შესაფუთავად უმთავრესად ჩალას და გვიმრას იყენებენ, დიდებისთვის კი წყავის შტოებს. კარგი შედეგი გამოიღო სამფენა მარლის ტიპის ქოლგამ, რომელსაც უკანასკნელი 4 წლის მანძილზე ლიმონის ხეებისათვის იყენებდნენ. ინდივიდუალური საფრის მოწყობას თითქმის ყოველთვის დეკემბრის პირველ რიცხვებამდე ამთავრებენ.

ზამთრის განმავლობაში სისტემატურად სწარმოებს პლანტაციის დათვალიერება, მცენარიდან თოვლის დაბერტყვა და ძირთან წყლის ჩადგომის აღკვეთა. თუ მცენარის ირგვლივ საფარი სქელი და ვიწროა, მას იმგვარად აგანიერებენ და ათხელებენ, რომ ფოთლები დახშული არ იყოს, ხე არ დასუსტდეს და არ დაზიანდეს. როცა ყინვები გაივლის, მცენარეს შემოხვეულ მიწას აცლიან. ეს სამუშაო ტარდება უმთავრესად მარტის ბოლო რიცხვებში, საფრის მოხსნის შემდეგ.

კოლმეურნეებმა ციტრუსების გამოზამთრების ყველა ძირითადი სამუშაოს გეგმა შარშან წარმატებით შეასრულეს. ახლა მაკვანეთელი კოლმეურნეები ასრულებენ ყველა პირობას შექმნან 1946 წელს უხვი მოსავლის მისაღებად.

ტ. თოდრაძე

კავკასიონის მთის მწვერვალებზე

ყაზბეგზე, ბახმაროზე, მამისონის უღელტეხილზე მოთავსებულია კავკასიის მაღალმთიანი ობსერვატორიები და მეტეოროლოგიური სადგურები. ზოგიერთი მათგანი დაახლოებით 4 ათას მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. იქ ასვლა შეიძლება ვიწრო მთის ბილიკით და ისიც მხოლოდ გამოცდილ გამყოლთა დახმარებით. მაგრამ აქ მომუშავე მეტეოროლოგები, დამკვირვებელნი, რადისტები, ტექნიკოსები მთელი ჩვენი ქვეყნის, მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრებით და გრძნობებით ცხოვრობენ.

ბახმაროს მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურის უფროსი პროკოფი მგელაძე თავის რადიოგრამაში იუწყება:

— ჩვენი სადგურის პატარა კოლექტივი არჩევნებისათვის ემზადა, როგორც დიადი დღესასწაულისათვის. წინა დღით სადგურის შენობა მოვრთეთ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტებით, ლოზუნგებით, პლაკატებით, კარგად გავანათეთ. დილაადრიან ჩავედით სოფელში, სადაც მოთავსებულია ჩვენი საარჩევნო უბანი. დილის სრულ 6 საათზე ხმა მივეცით სამშობლოს ღირსეულ შვილებს.

იმისათვის, რომ თავიანთ საარჩევნო უბანში მისულიყვნენ, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი ობსერვატორიის — ყაზბეგის ობსერვატორიის მუშაკებს მოუხდათ 6 კილომეტრი რთული და საშიში გზის გავლა.

გამყოლთა თანხლებით ჯერ ობსერვატორიიდან დაეშვნენ ვახტისაგან თავისუფალი მუშაკები. ხმის მიცემის შემდეგ ისინი კვლავ უკან დაბრუნდნენ. მათ შემდეგ ხმის მისაცემად დაეშვა მეორე ჯგუფი.

ყაზბეგის ობსერვატორიის მუშაკებმა, რომლებსაც მეთაურობს ძველი მოზამთრე ევგენი ჭკუასელი, 10 თებერვალს ხმა მისცეს სოციალისტური შრომის გმირს მემანქანე-ინსტრუქტორს შ. კოხრეიძეს და ცნობილ ქართველ დრამატურგს შ. ნ. დადიანს. (საქდესი).

2.531.000 მანეთი საცხოვრებელი სახლების რემონტისათვის

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საცხოვრებელი სახლების რემონტზე თბილისში 2.531.000 მანეთი დაიხარჯება. აქედან კაპიტალურ რემონტზე—1.930.000 მანეთი, სამხედრო მოსამსახურეთა ბინების რემონტზე — 250.000 მანეთი და დემობილიზებულთა ბინების რემონტზე—270.000 მანეთი.

რემონტის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი სამშენებლო მასალების — კრამიტის, გაჯის, ლურსმნის და განსაკუთრებით ხე-ტყის დამზადებას.

აღმოსავლეთ ფერგანის ქვანახშირის აუზი

სამამულო ომის წლებში სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული გეოლოგიის საქმეთა კომიტეტის ყირგიზეთის გეოლოგიური სამმართველოს და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქვანახშირის საძიებო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს მუშაკებმა ომის ოლქში ახალი ქვანახშირიანი ფართობების ძიება ჩაატარეს. ეს მუშაობა დიდი წარმატებით დამთავრდა. აღმოჩენილია შუა აზიაში უდიდესი აღმოსავლეთ ფერგანის ქვანახშირის აუზი ყველა მარკის ქვანახშირის — გრძელალიანი, კოქსვადი ქვანახშირის, ანტრაციტებისა და სხვ. უხვი მარაგით.

ახალ აუზში გამოკვლეულია ყარაგაშის, ყარა-ტიუბინსკის, ტუიუკისა და ბეშტერეკის საბადოები, მათგან ორი უკანასკნელის ქვანახშირი კოქსვადია. შრეების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება გათხრილ იქნას ჰორიზონტალური წოლხვრელებით.

მიმდინარე წელს საძიებო სამუშაოები უმთავრესად აუზის აღმოსავლეთ ნაწილში გაგრძელდება. ტუიუკის საბადოში ტრესტი „სრედაზუგლერაზვედკა" შეუდგა უბნების მომზადებას საექსპლოატაციოდ. (საქდესი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველი სესია

ამხ. დ. ზ. მანუილსკის გამოსვლა უშიშროების საბჭოს სხდომაზე 7 თებერვალს

ლონდონი, 8 თებერვალი. (საქდესი). მოგვყავს სრული ტექსტი უკრაინის დელეგაციის მეთაურის ამხ. დ. ზ. მანუილსკის გამოსვლისა, რომელიც შესდგა 7 თებერვალს უშიშროების საბჭოს სხდომაზე.

ამხ. მანუილსკიმ თავის გამოსვლაში სთქვა: „უკრაინის სს რესპუბლიკის მთავრობის დავალებით უკრაინის დელეგაციამ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს მეიკინს გაუგზავნა წერილი, რომელიც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 34-ე მუხლის შესაბამისად, უშიშროების საბჭოს ყურადღებას მიაქცევდა იმ არანორმალურ მდგომარეობას, რაც ინდონეზიაში შეიქმნა.

როგორც ცნობილია, 1942 წლის 9 მარტს ჰოლანდიის ჯარებმა კაპიტულაცია მოახდინეს იაპონიის შეიარაღებული ძალების წინაშე და იაპონელებმა ოკუპაცია უყვეს უიარაღო ინდონეზიას. იაპონიის მიერ დამყარებული საოკუპაციო რეჟიმი ინდონეზიის ტერიტორიაზე, სადაც 70 მილიონზე მეტი ინდონეზიელი ცხოვრობს, არსებითად არაფრით არ განირჩევა იმ რეჟიმებისაგან, რომლებსაც სხვა აგრესორები ამყარებდნენ მათ მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში. სამნახევარი წლის განმავლობაში ინდონეზიელი ხალხი იტანჯებოდა ამ საოკუპაციო რეჟიმით და წინააღმდეგობას უწევდა იაპონელი დამპყრობლების ღონისძიებებს მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით. 1945 წლის 17 აგვისტოს მოკავშირეთა იარაღის წარმატებათა მეოხებით იაპონიის ჯარებმა წინააღმდეგობა შესწყვიტეს. იაპონიის დამარცხებამ ფრთები შეასხა ინდონეზიელ ხალხს იმ იმედით, რომ მისი ეროვნული მისწრაფება, ბოლოსდაბოლოს, განხორციელდებოდა. ინდონეზიელებს სჯეროდათ, რომ მათ მიმართ გამოყენებული იქნებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითადი პრინციპები, წესდებისა, რომელიც თვალისწინებს ყოველი ერის თვითგამორკვევის უფლებას. მაგრამ სინამდვილე სხვაგვარი აღმოჩნდა.

იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ იაპონიის სამხედრო ხელისუფალთ მიენდოთ „წესრიგის დაცვა", როგორც ამტკიცებდნენ, იმ მომენტამდე, სანამ ინგლისის ჯარები მივიდოდნენ. ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია პროტესტები, რომლებიც გამოიხატა დემონსტრაციებით და იაპონიის ჯარებთან შეტაკებებით, რომლებმაც არ დააყოვნეს ინდონეზიელი მოსახლეობის წინააღმდეგ ეხმარათ ტანკები და არტილერია. 29 სექტემბერს ბატავიას ჩავიდნენ ინგლისისა და ინდოეთის ჯარები, მაგრამ ინგლისის ჯარების ჩასვლამ, სამწუხაროდ, დამშვიდება არ მოუტანა ინდონეზიას. შეტაკებანი და ბრძოლები გრძელდებოდნენ. 10 ოქტომბერს სურაბაიის რაიონში დაიწყო ინგლისისა და ინდოეთის ჯარების დესანტი, რომელიც ინდონეზიელთა წინააღმდეგობას შეხვდა.

გაზეთი „დეილი მეილი", რომელსაც არ შეიძლება დავწამოთ განსაკუთრებული სიმპატიები ინდონეზიელთა მიმართ, ასე აღწერდა 1945 წლის 12 ოქტომბერს იმ შეტაკებას, რომელიც სურაბაიაში მოხდა ინდონეზიელებსა და ინგლის-ინდოეთის ჯარებს შორის: „ასობით ინდონეზიელი მიესია ჩვენს ტანკებს, როდესაც მათ ქუჩაბანდები დაიკავეს ქალაქის ცენტრში. მოკლულ იქნა მრავალი ინდონეზიელი, ტანკები შეუჩერებლივ მიიწევდნენ წინ. მალე ნაშუადღევს 4 საათის შემდეგ „სანდერბოლტებმა" სამეფო ავიაციიდან დავალება მიიღეს დაებომბათ ინდონეზიელთა არმიის შტაბი და 3 სხვა შენობა, რომლებსაც ინდონეზიელები იყენებდნენ იმისათვის, რომ შეეჩერებინათ ჩვენი ჯარები".

ინგლისის ადგილობრივი ხელისუფალნი სულ უფრო ფართოდ იყენებენ სუსტად შეიარაღებული ინდონეზიელების წინააღმდეგ თანამედროვე საჯარისო ყველა სახეობას—არტილერიას, ხომალდების ქვემეხებს, თვითმფრინავებს, მათ შორის „მოსკიტოს" ტიპის რაკეტიან თვითმფრინავებს.

3 დეკემბერს რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბატავიიდან იუწყებოდა, რომ იაპონიის სატანკო და საარტილერიო ქვედანაყოფები გამოიყენეს ინდოეთის ჯარების მხარეზე ინდონეზიელი მოსახლეობის წინააღმდეგ. 3 დეკემბერს ბატავიაში ინგლისის ადგილობრივი სარდლობის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სამხედრო კომუნიკე აღნიშნავდა, რომ კუნძულ სუმატრის ცენტრალურ ნაწილში მოხდა შეტაკებანი ინდონეზიის პოლიციასა და იაპონელთა ნაწილებს შორის, რომელიც მოხდა იმის შედეგად, რომ იაპონელებს დაევალათ დაეცვათ ჰოლანდიის კოლონიური ჯარები, რომლებიც გაგზავნილი იყვნენ ნავსადგურ დიეკოში ინგლისის სარდლობის ბრძანებით. დღითი დღე სამხედრო მოქმედება სულ უფრო ფართო ხასიათს იღებდა. მაგალითად, გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" 11 დეკემბერს სწერდა: „დღეს სამეფო ავიაციის თვითმფრინავებმა დასჯის წესით მიიტანეს უდრეკად გაფთრებული იერიში, როგორიც კი იავას როდისმე უნახავს. ეს რეიდი ეფექტიანობის ნიმუში იყო. რაკეტიანი თვითმფრინავები „მოსკიტო" პირველნი დაესხნენ თავს და სოფლის თორმეტი შენობა სულ მთლად დანგრეულ იქნა. „სანდერბოლტის" მარკის თვითმფრინავებმა 500-გირვანქიანი ბომბები ჩაყარეს კამპარის რაიონში და შემდეგ 5 შემოვლა გააკეთეს, რათა თავიანთი ქვემეხებით დაემთავრებინათ სოფლის დანგრევა. „მოსკიტოს" მარკის ბომბდამშენებმა მოსპეს მესამე სოფლის მნიშვნელოვანი ნაწილი".

ასე სწერდნენ 11 დეკემბერს. აი, მაგალითად, 23 დეკემბერს გაზეთი „ობსერვერი" იუწყებოდა: „ბანდუნგის ჩრდილოეთ სექტორში გუშინ სწარმოებდა გაფთრებული ბრძოლა, რომლის დროსაც ინგლისის ჯარებმა გამოიყენეს არტილერია, რაკეტიანი თვითმფრინავები „მოსკიტო" და „სანდერბოლტები" 500-გირვანქიანი ბომბებით".

გასაკვირველი არ არის, რომ ამ სამხედრო მოქმედების შედეგად ზარალი მნიშვნელოვანი იყო. ამან ცხადია, ვფიქრობ, საფუძველი მისცა ნიუ-იორკის რადიოს ჯერ კიდევ 20 დეკემბერს ემტკიცებინა, რომ ინდონეზიელთა ზარალი მაშინ 30-40 ათას კაცს აღწევდა მოკლულთა სახით. ამრიგად, სრულიად ცხადია, რომ ინდონეზიაში იაპონიის დამარცხებისა და ომის დამთავრების შემდეგაც შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომელსაც გაზეთი „ტაიმსი" ჯერ კიდევ 1945 წლის 2 ნოემბერს ახასიათებდა როგორც „თითქმის ომს", რომელიც ნამდვილად არაფრით არ განირჩეოდა ომისაგან.

ამ ამბებს, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ არ მიეპყროთ საზოგადოებრიობის ყურადღება არა მარტო ოკეანის გაღმა, არამედ თვით ევროპაში, აგრეთვე ინგლისში. მაგალითად, გაზეთი „დეილი ექსპრესი" ჯერ კიდევ 1945 წლის 8 ოქტომბრის წერილში სწერდა: „ინდონეზიელები გაკვირვებული არიან იმით, რომ ინგლისელები მას შემდეგ, რაც მათ ომი მოიგეს, ჯერ კიდევ აძლევენ ნებას იაპონელებს მტრის კაპიტულაციის შემდეგ მრავალი კვირის განმავლობაში არა თუ წინანდებურად ამაყად ეჭიროთ თავი, არამედ ძალა-უფლებასაც კი აძლევენ მორჩილებაში იყოლიონ ადგილობრივი მოსახლეობა ტანკებისა და ჯავშნიანი მანქანების დახმარებით და ნებას აძლევენ მათ გამოვიდნენ მფარველობისა და წესრიგის დამცველების როლში ბრიტანელ გამარჯვებულთა სახელით".

ასეთი მდგომარეობის გამო მთელ რიგ ქვეყნებში დაიწყო მოძრაობა ინდონეზიელი მოსახლეობის დასაცავად. მაგალითად, რეიტერის სააგენტოს 2 ოქტომბრის ცნობით, ავსტრალიაში, სიდნეიში, შესდგა დემონსტრაცია, რომელსაც მეთაურობდნენ ავსტრალიის მთავრობის წევრები, ინდონეზიელი მოსახლეობის მიმართ შეუწყნარებელი მოპყრობის წინააღმდეგ და მის ელემენტარულ უფლებათა დასაცავად. ასე, ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა თვალსაჩინო მოღვაწემ კომანდორმა სტასენმა, რომელიც მონაწილეობას იღებდა სან-ფრანცისკოს კონფერენციაში, 1945 წლის 11 დეკემბერს „ნიუ-იორკ ტაიმსში" გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მოუწოდებდა შეეწყვიტათ სამხედრო მოქმედება ინდონეზიელთა წინააღმდეგ.

არაერთგზისი შეკითხვები ინგლისის პარლამენტში ინდონეზიაში მომხდარი ამბების გამო აგრეთვე მოწმობენ იმ შეშფოთებას, რასაც ინგლისის საზოგადოებრივ აზრში იწვევს ინდონეზიელთა ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ინგლისის და განსაკუთრებით იაპონიის ჯარების გამოყენების ფაქტი. მაგალითად, პარლამენტის სხდომაზე 17 ოქტომბერს დეპუტატმა სორენსენმა შეკითხვა შეიტანა იმის შესახებ, რომ „პარლამენტის ბევრი წევრი, ძალიან შეშფოთებულია იმით, რაც, თითქოს სინამდვილეს შეესაბამება,—სახელდობრ, რომ ჩვენ ვთანამშრომლობთ იაპონელებთან ინდონეზიის ნამდვილ მოსახლეობის წინააღმდეგ ძალის გამოყენების საკითხში". ამავე სულისკვეთებით ლაპარაკობდნენ 11 დეკემბრის სხდომაზე დეპუტატები დრაიბერგი, ზილიაკუსი, მაიორი ეორი და სხვ.

ამრიგად, სრულიად ცხადია, რომ ინდონეზიაში იაპონიის დამარცხებისა და ომის დამთავრების შემდეგ ჩვენ გვაქვს ისეთი მდგომარეობა, რომელიც, გაერთიანებული ერების წესდების 34-ე მუხლის ფორმულირებით, „საფრთხეს უქმნის მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებას".

სრულიად ეჭვგარეშეა, რომ ინგლის-ინდოეთის ჯარების ჩარევა ინდონეზიის შინაურ საქმეებში პირდაპირ ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების წესდების მე-2 პარაგრაფის 1-ლ მუხლს, რომელიც ამბობს, რომ გაერთიანებული ერების ამოცანას წარმოადგენს „განავითაროს მეგობრული ურთიერთობა ერებს შორის ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპების პატივისცემის საფუძველზე, აგრეთვე მიიღოს სხვა სათანადო ღონისძიებანი საყოველთაო მშვიდობის განსამტკიცებლად". ეს ჩარევა აგრეთვე ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების წესდების 73-ე მუხლს. იგი ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების მიერ საერთოდ აღიარებულ პრინციპს, რომლის თანახმადაც ყოველი ხალხი დემოკრატიის საფუძვლებზე ირჩევს თავისთვის მმართველობის ფორმას, რომლითაც მას ცხოვრება სურს. თავისთავად იგულისხმება, რომ კიდევ უფრო მკვეთრად ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების წესდებას იაპონიის ჯარების გამოყენება ინდონეზიელი მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელიც სამნახევარი წლის განმავლობაში იტანჯებოდა იაპონიის ტირანიული ოკუპაციის უღლქვეშ.

უკრაინის დელეგაციას ესმის, რომ მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების ყოფნა ამა თუ იმ პუნქტში შეიძლება ნაკარნახევი იყოს სტრატეგიული ხასიათის მოსაზრებებით. ინგლისის ჯარები გაერთიანებული ერების თანხმობით ინდონეზიაში იმისათვის იმყოფებიან, რომ მიიღონ იაპონიის ჯარების კაპიტულაცია და განაიარაღონ ისინი.

მაგრამ აქედან ის როდი გამომდინარეობს, რომ ინგლისის ჯარების ოპერაციები ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ ინდონეზიაში და ამ მიზნით იაპონიის ჯარის ნაწილების გამოყენება გაერთიანებული ერების თანხმობით სწარმოებს. უკრაინის დელეგაციამ იცის, რომ საბჭოთა კავშირს ამაზე არ მიუცია და, რა თქმა უნდა, არ შეეძლო მისცეს თავისი თანხმობა.

უკრაინის დელეგაცია არ აყენებს საკითხს ინდონეზიიდან ინგლისის ჯარების გამოყვანის შესახებ. უკრაინის დელეგაციის განცხადების არსი ინდონეზიის შესახებ იმაში მდგომარეობს, რომ უკრაინის დელეგაციას, როგორც გაერთიანებული ერების წევრს, შეუწყნარებლად მიაჩნია, რომ ინგლისის ჯარები გამოყენებულ იქნან ინდონეზიელთა ეროვნული მოძრაობის ჩასახშობად.

მით უფრო მეტი საფუძვლით უკრაინის დელეგაციას არ შეუძლია არ გამოსთქვას გაკვირვება იმის გამო, რომ ბრიტანეთის ხელისუფლებმა შესაძლებლად ჩასთვალეს მტრული იაპონიის შეიარაღებული ძალების მონაწილეობა იმ ოპერაციებში, რომლებსაც ინგლისის სამხედრო ხელისუფალნი ეწეოდნენ ინდონეზიაში ინდონეზიელი ხალხის წინააღმდეგ. მტრული იაპონიის ჯარების ასეთი გამოყენება ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ინდონეზიაში ძირს უთხრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტს და შეწყნარებული არ უნდა იქნას. ზემოხსენებული მოტივების ძალით უკრაინის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია უშიშროების საბჭოს ყურადღება მიაქციოს ასეთი მდგომარეობის სრულ შეუწყნარებლობას და სთხოვს უშიშროების საბჭოს მიიღოს საჭირო ღონისძიებანი ასეთი მდგომარეობის აღმოსაფხვრელად. ინდონეზიის საკითხის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი გადაწყვეტა ამ სტადიაში იქნებოდა უშიშროების საბჭოს მიერ სპეციალური კომისიის შექმნა ადგილობრივი მდგომარეობის გამოსარკვევად და მშვიდობის დასამყარებლად.

ნება მიბოძეთ, ბატონო თავმჯდომარევ, გამოვთქვა იმედი, რომ უშიშროების საბჭო მიიღებს ამ წინადადებას რაც ნაკარნახევია მშვიდობის, უშიშროების და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღირსების ინტერესებით".

ე. ბევინის გამოსვლა

დ. ზ. მანუილსკის შემდეგ გამოსულმა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერნსტ ბევინმა ამტკიცებდა, რომ ინგლისისა და ინდოეთის ჯარებს იავაზე არც ერთხელ არ აუტეხიათ სროლა მანამდე, სანამ თვითონ მათ არ დაესხნენ.

ბევინმა განაცხადა, გენერალმა მაკარტურმა ინგლისელებს დააკისრა იაპონიის იმ 250 ათასი მოწინააღმდეგის განთავისუფლების ამოცანა, რომლებიც ინტერნირებული იყვნენ ინდონეზიაში, და სთქვა, რომ როდესაც „მოკლულ იქნა ბრიგადირი მალაბი, ადმირალმა ლორდმა მაუნტბეტენმა იაპონელებს უბრძანა დაეცვათ წესრიგი". ბევინმა აღნიშნა ინგლისელთა შეცდომა შუამავლად გამოვიდნენ ჰოლანდიელებსა და ინდონეზიელებს შორის.

„იმედი მაქვს,—სთქვა მან,—რომ ამჟამად წარმოებული თათბირის შედეგად შეიძლება მიღწეულ იქნას რამე კონსტიტუციური შეთანხმება, რომელიც მოაგვარებს ამ პრობლემას ინდონეზიაში". ბევინმა აზრი გამოსთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ინდონეზიაში კომისიის გაგზავნის წინააღმდეგ.

ვან კლეფენსის გამოსვლა

ჰოლანდიის წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან კლეფენსმა, რომელიც ბევინის შემდეგ გამოვიდა, განაცხადა, რომ ინგლისელთა წინაშე სდგას ინდონეზიაში ინტერნირებულ სამოქალაქო პირთა განთავისუფლების ამოცანა.

ვან კლეფენსმა განაცხადა, რომ არ არსებობს არავითარი პრობლემა, რომელიც უშიშროების საბჭომ უნდა განიხილოს.

იგი შეეხო ინდონეზიაში კომისიის გაგზავნის საკითხს და განაცხადა: „რამდენადაც ბევინი, როგორც სჩანს, წინააღმდეგია კომისიის გაგზავნისა, მე არ ვაპირებ უფრო ვრცლად შევეხო ამ საკითხს". ვან კლეფენსმა აღიარა, რომ იყენებდნენ იაპონიის ჯარებს. მან მოიწონა ინგლისის ჯარების მოქმედება ინდონეზიაში და სთქვა, რომ ის მდგომარეობა, რომელიც ინდონეზიაში ინგლისის ჯარების ყოფნის მიზეზი გახდა, არ შეცვლილა.

ვან კლეფენსი ლაპარაკობდა „უახლოეს დღეებში" ინდონეზიის საკითხის გადაჭრის შესაძლებლობაზე.

* * *

ვან კლეფენსის გამოსვლის შემდეგ უშიშროების საბჭომ მიიღო საბჭოს თავმჯდომარის მეიკინის წინადადება საკითხის განხილვა გადაიდოს შემდეგი სხდომისათვის, რომელიც დანიშნულია შაბათს, 9 თებერვალს.

ლონდონი, 9 თებერვალი. (საქდესი). 9 თებერვალს უშიშროების საბჭოს სხდომაზე დამტკიცებულ იქნა იგივე დღის წესრიგი, რაც 7 თებერვლის სხდომაზე იყო. თავმჯდომარემ მეიკინმა იკითხა, სურს თუ არა უკრაინის დელეგატს მანუილსკის გააკეთოს დამატებითი განცხადება. ამხ. მანუილსკიმ დადებითად უპასუხა და მას მიეცა სიტყვა.

ამხ. მანუილსკის შემდეგ გამოვიდნენ ბევინი და ვან კლეფენსი. შემდეგ სხდომა შეწყვეტილ იქნა 10 თებერვლამდე.

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

ნიურნბერგი, 6 თებერვალი. (საქდესი). ტრიბუნალის დილის სხდომა იწყება ბრალდების ფრანგი წარმომადგენლის გერტოფერის გამოსვლით, რომელიც ადგენს საფრანგეთსა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში ჰიტლერელების მიერ ხელოვნების ნაწარმოებთა გაძარცვის დამამტკიცებელ საბუთებს.

ბრალმდებელი ტრიბუნალს უდგენს დოკუმენტებს იმის შესახებ, რომ როზენბერგის შტაბის მიერ ნაძარცვი მხატვრული ფასეულობანი ხმარდებოდა ჰიტლერელ შეთქმულთა პირადი ქონების დაგროვებას. თვალსაჩინო მხატვრულ ნაწარმოებთა ხელში ჩასაგდებად ბრალდებული გერინგი ბინძურ მახინაციებს ეწეოდა.

საფრანგეთში, ამბობს ბრალმდებელი, აღმოჩენილ იქნა გერინგის ინსტრუქცია, რომელშიც იგი აღნიშნავდა, თუ როგორ უნდა გაეყოთ ნაძარცვი. ნაძარცვის ლომის წილი უნდა ჰქონოდა ჰიტლერს. შემდეგ გერინგი ზრუნავდა თავისი პირადი კოლექციის შევსებისათვის. ამასთან დავიწყებული არ ყოფილა რიბენტროპიც.

ბრალმდებელი ტრიბუნალს უდგენს დოკუმენტებს, რომლებიც მოწმობენ გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის კავშირს როზენბერგის შტაბთან. ამრიგად, პასუხისმგებლობა ხელოვნების ნაწარმოებთა დატაცებისათვის ვრცელდება ბრალდებულ კაიტელზეც. ჰოლანდიაში მხატვრულ ფასეულობათა ძარცვა ხორციელდებოდა ბრალდებულ ზაის-ინკვარტის უშუალო მონაწილეობით.

ბრალმდებელი აჯამებს ზემოთქმულს და ამბობს:

— ისტორიამ არ იცის მხატვრულ ფასეულობათა ასეთი მასობრივი და ორგანიზებული ძარცვის მაგალითი, რაც ჩადენილ იქნა სახელმწიფოს ხელმძღვანელების მიერ. ამ შემთხვევაში ჰიტლერული შეთქმულების ყველაზე მთავარ მონაწილეთა მიერ.

ჰიტლერელი დამპყრობლების მიერ ხელოვნების ნაწარმოებთა დატაცების მასალების წარმოდგენის შემდეგ ბრალდების ფრანგი წარმომადგენელი გადავიდა ბრალდებულთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შესახებ თავისი დასკვნების ჩამოყალიბებაზე. ამ დასკვნების ჩამოსაყალიბებლად სიტყვა მიეცა ბრალდების ფრანგ წარმომადგენელს მუნიეს. მას შემდეგ, რაც მუნიემ გააკეთა რამდენიმე ზოგადი შენიშვნა ბრალდებულებისადმი წაყენებული ინდივიდუალური ბრალდების შესახებ, სასამართლომ შესვენება გამოაცხადა.

ტექნიკური ხასიათის გარემოებათა გამო ტრიბუნალის აღდგომის სხდომა 6 თებერვალს არ შემდგარა.

ნიურნბერგი, 7 თებერვალი. (საქდესი). ტრიბუნალის დილის სხდომაზე ბრალდების ფრანგი წარმომადგენელი მუნიე შეუდგა ინდივიდუალურ ბრალდებათა წაყენებას ბრალდებულებს: როზენბერგს, ზაუკელს, შპეერს, გერინგს, ზაის-ინკვარტსადმი.

ნიურნბერგი, 7 თებერვალი. (საქდესი). 7 თებერვლის მთელი საღამოს სხდომა შეიძლება ინდივიდუალურ ბრალდებათა წაყენებს ბრალდებულებს კაიტელს, იოდლსა და ჰესისადმი.

16.292 კილოგრამი რძე ერთი ძროხისაგან

საბჭოთა მეურნეობა „კარავაევოში" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა ზოოტექნიკოსმა ს. შტეინმა გამოზარდა ძროხა, რომელმაც წელიწადში მოიწველა 16.292 კილოგრამი რძე 3,9 პროცენტი ცხიმიანობისა. ამხ. შტეინის მიერ აღზრდილმა მეორე ძროხამ 300 დღეში 12.908 კილოგრამი რძე მოიწველა, ხოლო მესამემ—12.849 კილოგრამი. საბჭოთა მეურნეობის 10 ძროხამ წელიწადში თითოეულმა მოიწველა 10.000 კილოგრამი რძე, 60 ძროხამ კი საშუალოდ თითოეულმა—8.000 კილოგრამზე მეტი.

საბჭოთა მეურნეობა „კარავაევოში" და კოსტრომის კოლმეურნეობათა სახელმწიფო სანაშენე ფერმებში გამოყვანილია მსხვილფეხა რქიანი საქონლის ახალი ჯიში—კოსტრომული, რომელიც მაღალი წველადობისა და დიდი ცოცხალი წონისაა (იწონის 640 კილოგრამამდე).

(გაზეთ „სოციალისტიჩესკოე ზემლედელიედან")

ზამთარი ზოოპარკში

ზამთრის დადგომისთანავე ზოოპარკის ტროპიკული მხარის ცხოველები თბილ სადგომებში გადაიყვანეს. მაიმუნები—ჰამადრილი, რეზუსი, კაპუცინი ახლად შეღებილი გალიებიდან ჩვეული მოუსვენრობით გამოიყურებიან.

ტროპიკული მხარის ფაუნის განყოფილებაში მოთავსებულია 35 წლის ლომი „ცეზარი", რომელსაც უკვე რამდენიმე შვილი და შვილიშვილი ჰყავს. ცხოველთა მეფის მეზობლად გალიებში მოთავსებულია მისი შთამომავლები — „ფატმა", „ფეია" და „ბერტა". ამ უკანასკნელს ორი ლეკვი ჰყავს, რომლებიც ოთხი თვისანი არიან. ისინი ახლა საქონლის სისხლითა და რძით იკვებებიან.

აკვარიუმსა და ტერარიუმშიც მოხდა ცვლილებები. ოქტომბრიდან ზამთრის ძილს მიეცნენ ნილოსის მსგავსნი ალიგატორები და გველები. ეგზოტიური თევზები კი კვლავინდებურად დანავარდობენ წყალში.

კარგად გრძნობენ თავს პოლარული ცხოველები. თეთრი დათვები დიდი სიამოვნებით ბანაობენ ცივ აბაზანებში. კავკასიურ დათვებს ზამთრის ძილზე ხელი აუღიათ და ფხიზლობენ. მათი საყვარელი კერძია ხორცი, ბოსტნეული და ხილი.

მოწყენილია სპილო, რომელსაც არ მოსწონს ზამთრის სადგომში ცხოვრება. იგი ხშირად აძტვრევს კარს და გარეთ გამოსვლას თხოულობს.

* * *

მრავალფეროვანი და ლამაზია თბილისის ზოოპარკი. მის ბინადართათვის შექმნილია საუკეთესო პირობები. მაგრამ უფრო ლამაზი და თვალწარმტაცი გახდება ჩვენი ზოოპარკი მეოთხე სტალინურ ხუთწლედში. იგი გაფართოვდება 65 ჰექტარამდე, დამშვენდება ახალი ნაგებობებით. მოეწყობა ნორჩ ნატურალისტთა სახლი, ზოომუზეუმი. გაფართოვდება ბაქტერიოლოგიური, პარაზიტოლოგიური, ჰემატოლოგიური და ზოოქიმიური ლაბორატორიები. უფრო ფართოდ გაიშლება სამეცნიერო მუშაობა.

ა. ბეჟანიშვილი

აჭარაში

„მარტოხელა"

აჭარის ასს რესპუბლიკის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ვ. გაბესკირიას სამმოქმედებიანი კომედია „მარტოხელა".

პიესაში, რომელიც დასდგა თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა რეჟისორმა ა. ჩხარტიშვილმა, მთავარ როლებს ასრულებენ ახალგაზრდა მსახიობები თ. სარჯველაძე, ე. ვაჩნაძე, დ. ჯაფარიძე, პ. იაშვილი და აჭარის ასს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ა. სარჯველაძე და ა. გარნელი.

ახალი საავადმყოფო

სტალინის სახელობის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (ქობულეთის რაიონი) საავადმყოფოსათვის ააგეს კაპიტალური შენობა. საავადმყოფო კარგად არის მოწყობილი.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ბ. ნანიტაშვილი**

მოქალაქე **ნინო მიხეილის-ასულმა გულბაჰიანმა,** მცხოვრებმა ბალტიისკის შესახვევში № 16, აღძრა საქმე იმავე მცხოვრებ მოქალაქე **ესტატე მიხეილის-ძე გელბახიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის 1 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ანა ერვანდის-ასულმა ოსიპოვამ,** მცხოვრებმა ორჯონიკიძის ქ. № 67, აღძრა საქმე ქ. ბაქოში ჩაპაევის ქ. № 78 მცხოვრებ მოქალაქე **გრიგოლ ხარატურის-ძე არუთინოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.85, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.51.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3.80.88, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვების—3.81.85, გამომცემლობის—3.51.81. სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. შ 00120